# ცნობის ფურცელი

№ 1971 პარასკევი, 1 ნოემბერი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1971

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირი მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.



გრიგოლ ივანეს ძე აბაზაძე გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას თავის შვილის

ვანიჩკასას

და სთხოვს მობრძანდნენ მის დასაფლავებაზე დ. ხურამში, კვირას, 3 ნოემბერს, დილის 9 საათზე. (1—1)

გაზ. „ცნობის ფურცელი" უკვლა ტფილისელ გამყიდავებთან ღირს ცალკე ნომერი 3 კაპ. და სურათებიანი დამატებით-კი 5 კაპ.
გაზეთები იყიდება აგრეთვე ქუთაისში ვ. ბეჟანიშვილის და ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგ. წიგნების მაღაზიებში.

მეხუთე ნაწილში, სიონის და ირაკლიევის ქუჩის კუთხეში, ჩითახოვის ნასახლარში

გაიღო ახალი აფთიაქი

ვ. ქ. პრეისზერგისა

(3—3) ტელეფონი № 509.

ქართველ თავად-აზნაურთა თეატრი
(ტელეფონი № 617)
დღეს, პარასკევს, 1 ნოემბერს, ხარკოვის საოპერო დასის მიერ,
ბ-ნ ბონაჩიჩის მონაწილეობით და ვ. ა. პოლუიანოვის საბენეფისოდ
წარმოდგენილი იქნება

ევგენი ონეგინი

ოპერა 3 მოქმედ. და 7 სურათ. მუსიკა ჩაიკოვსკისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი გაშინსკისა, სკორუპსკისა, დობრჟანსკისა, ბაუერ; ბ-ნნი: ბონაჩიჩი, პოლუიანოვი, ტომაშევიჩი, პეტროვი და სხვანი.

ხვალ, შაბათს, 2 ნოემბერს წარმოდგენილი იქნება „მარგალიტების მაძიებელნი" და „ფაუსტი" (მე-3 მოქმ.)

კაპელმეისტერი ლ. შტეინბერგი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კასსა ღიაა დილის 10-დან ნაშუადღევის 3 საათამდე და საღ. 6 საათიდან წარმოდგენის გათავებამდე. ფასები დაკლებულია.

ორშაბათს, 4 ნოემბერს, დანიშნულია ვ. მ. დობრჟანსკის ბენეფისი. მოკლე ხანში დაიწყება წარმოდგენები ქ-ნ მ. ნ. ინსაროვის მონაწილეობით.

მზადდება წარმოსადგენად კომიკური ოპერა „ციგანსკი ბარონ".

მთავარი რეჟისორი ივ. ფითოევი.
(ნ. 0—35)

წარმოდგენა 11. ტელეფონი 617

✿ დილის იაფ-ფასიანი წარმოდგენა ✿

ქართული თეატრი

კვირას, 3 ნოემბერს 1902 წელს.

ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

✦ დაკლებულის ფასებით ✦

I

მეორედ გაყმაწვილება

დრამა 4 მოქ. გადმ. თავ. დ. ერისთავის მიერ.

II

დ უ ე ლ ი

ვოდევ. 1 მოქმ., გადმოკ. ნ. გალუსტოვის მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. რონელი; ბ-ნნი დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, კ. შათირიშვილი, სარველაძე და სხვ.

ფასები დაკლებულია

დასაწყისი შუადღის 12 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად „ხალხის მტერი", „დენიზა".

რეჟისორი ვალ. გუნია.

ტფილისის

კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

მ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 9—10 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფებისათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ა. მ. მღიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 კვირაობით 9—11.

ა. გ. ბარხუდოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

მრ. მ. სოზოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 1—3 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყუგვილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანათიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სვგინაძისა, № 21. (აფხაზის ქუჩის დასაწყისში).
ტელეფონი № 274. (წლ).

ე ქ ი მ ი

ალექსანდრე გიორგის ძე

მ ა ღ ა ლ ა შ ვ ი ლ ი

(მიხეილის ქუჩა, 30.—ტელეფონი 450).

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 10—1 საათამდე და საღამოთი 6—8-მდე.

ე ქ ი მ ი

ვ. ლ ა მ ბ ა შ ი ძ ე

იღებს შინაგან და საბავშვო ავადმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642.

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.
ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

ე ქ ი მ ი

ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).


## ნახული და გაგონილი

(ხან წაკითხულიც)

II

### პიროვნების პატივისცემა

ეს სათაურიც უნდა გაუკვირდეს ჩვენებურს მკითხველს. ვის უნახავს ან ვის გაუგონია ჩვენში პიროვნების პატივისცემა? დამცირება, ტალახში მოსვრა, მიწასთან გასწორება კი რამდენიც გნებავთ. ხშირად თვითონაც არ გვესმის და არ გვრძნობთ, რომ ვამცირებთ ვისმე ან გვამცირებენ, იმდენად მოკლებული ვართ გრძნობათა სიფაქიზეს, იმდენად ჩლუნგია ჩვენი მიხვედრის ნიჭი ამ მხრივ. თანაც თითქო გადამეტებული თავმოყვარენიც ვართ, მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებაა. ნამდვილად თავმოყვარე კაცი არც სხვის პიროვნებას შეელახავს, არც თავისას შეალახვინებს ვისმე.

ჩვენი მწერლობა, იმის მაგიერ, რომ შეებრძოლოს ამ სამარცხვინო სენს, ხელმძღვანელობას უწევს და უფრო აძლიერებს.

თუ რომელიმე საზოგადო მოღვაწის გამოსარჩლება გაბედე, ყელში გწვდებიან და პირში მოგახლიან—ვიცით, თუ რისთვის ჰკოცნის პატარა შვილისშვილი მოხუც დიდი-დედას წირპლიან თვალებშიო. ბრძოლა გამოუცხადე მეორე მოღვაწეს, დაუწუნე საქმის გაძღოლა, უნარი? ალბად თვითონ უნდა დასკუპდეს მის ადგილს ან თავისი ბიძაშვილი დაასკუპოს, რომ საზოგადო ქადას გემრიელად შეექცესო. მოპირდაპირეს აზრადაც არ მოუვა იფიქროს, რომ რასაც სწერ—შენი გულწრფელი რწმენაა, რომ არავითარი პირადი ანგარიში არ გალაპარაკებს, რომ შენც გსურს შეძლების დაგვარად ემსახურო საზოგადო საქმეს. იმას კი არ გეუბნებიან და გიმტკიცებენ, რომ შემცდარი ხარ; არა, შენს სულსა და გულში ძვრებიან, შიგ ხელებს გიფათურებენ და საქვეყნოდ საშინელ ბრალს გდებენ.

მეგობრობა ხომ სიყვარულთან ერთად უკეთილშობილესი და უძლიერესი გრძნობაა, ნამდვილი მეგობრობა ისეთივე დიდი საგანია პოეზიისათვის, როგორც სიყვარული... ბედნიერია ის კაცი, ვისაც გამოუცდია ნამდვილი მეგობრული გრძნობა! მისთვის სიყვარული გაორკეცებულია და მწუხარება განახევრებული. აი, ასეთი მეგობრობაც კი ვერ უძლებს ზემოდ აღნიშნულს სენს; იგი ჩვენში რაღაც უბადრუკი და დღენაკლულია. ერთს წუთს ვანგრევთ რამდენისამე წლის განმავლობაში აგებულს შენობას, თითქოს თანშეზრდილი მეგობრები ქუჩაში ეყაროს ან ადვილი საშოვნელი იყოს!

მკითხველს ეცოდინება, ვინ არიან ბანერმანი და ჩემბერლენი; ისიც ეცოდინება, თუ რა გაცხარებული, სასტიკი ბრძოლაა გაჩაღებული ამ ორ პოლიტიკურ მოღვაწეს შორის. გახურებული კამათის დროს პარლამენტში ბევრს მწარე სიტყვებს ეუბნებიან ერთმანეთს, კრიტიკის ქარცეცხლში ატარებენ ერთი მეორის მოღვაწეობას და პოლიტიკას. კერძო ცხოვრებაში კი თურმე მეგობრები ყოფილან. პოლიტიკამ, მთელ მიმართულების და აზრების სხვა-და-სხვაობამაც კი ვერ შეარყია მათი მეგობრული კავშირი!

შესაძლებელია ჩვენში ამგვარი მაგალითი? არა თუ შესაძლებელი არ არის, არც კი გვესმის, თუ როგორ შეიძლება არსებობდეს.

ჩვენში თუ მეგობარმა გაბედა და საკუთარი აზრი იქონია, არ დაგეთანხმა და თავის გზით გაიარა, იგი მოღალატე და უსინიდისო კაცია. იმდენი სულგრძელობა, იმდენი პატივისცემა ადამიანის პიროვნებისა არ გვაქვს, რომ ის მაინც გავიფიქროთ—იქნება შეცდა და იმიტომ მოუვიდა აგრეო. არა, მან იცის, რასაც ჩადის, იცის, რომ ღალატია და ღალატობისთვის მოიქცა ეგრეო, ვამბობთ და ხელს ვკრავთ ისეთ მეგობარს, რომელთანაც ათი-თორმეტი წელიწადი ძმურად და ამხანაგურად გვიცხოვრია, ჭირი და ლხინი შუაზე გაგვიყვია.

არა, ჯერ კიდევ ძალიან ბევრი გვაკლია, ჯერ კიდევ ძალიან ბევრი გვახლავს ძველ ველურობისა და ბევრ ძვირფას რამეს ვანაცვალებთ ამ ველურ „მე"-ს, რომელიც ჩვენში ზის და რომელმაც ადამიანის პიროვნების პატივისცემა არ იცის **

## საზღვარ-გარედ

**საფრანგეთი.** ამას წინად პალატამ კომისია აირჩია და კონგრეგაციების საქმის განხილვა მიანდო. კომისიის თავმჯდომარედ კონგრეგაციების გაბედული მოწინააღმდეგე პროფესორი ბიუსონი აურჩევიათ. კომისიამ პირველად კომბის მოხსენება მოისმინა, მერე მოიწონა მთავრობის ახალი კანონ-პროექტი ასოციაციების შესახებ, მაგრამ ზოგიერთი ცვლილება კი შეიტანა ამ პროექტში. დასასრულ მცირე კომისია—ხუთი კაცი—აირჩიეს და მიანდვეს მუდმივი ურთი-ერთობა იქონიოს პირველ მინისტრთან. ამის შემდეგ კომისია კონგრეგაციების თხოვნების განხილვას შეუდგა. კონგრეგაციები საფრანგეთში დაბინავების ნება-რთვას თხოულობენ.

მთავრობას ამისთანა თხოვნა 1000-მდე მოჰსვლია. სახელმწიფო საბჭოს აზრით, მთავრობა მოვალეა ყოველი თხოვნა ორსავე პალატას აცნობოს, თუნდაც რომ თხოვნის დაკმაყოფილების ღირსადაც არა სთვლიდეს. მაგრამ პარლამენტი თუ ყოველი თხოვნის გარჩევას მოჰყვება, კამათი ამ თხოვნებას თაობაზე ძლიერ გაებმება, მორიგ რეფორმების განხილვა დაბრკოლება და ოპოზიციასაც ძლიერი საშუალება მიეცემა ობსტრუქციისათვის. ამის გამო რადიკალ-დეპუტატმა ჰიუბარმა წინადადება შეიტანა, მთავრობამ პარლამენტს მარტო ის თხოვნები წარუდგინოს, რომლებსაც დაკმაყოფილების ღირსად ჰსთვლისო. ამასთანავე ჰიუბარმა წინადადება მისცა კომისიას, ეს საქმე ხელ-მეორედ სახელმწიფო საბჭოს გადაეცეს განსახილველადაო იმ პირობით, რომ საბჭომ თავისი პირველი დადგენილება შესცვალოსო. ჰიუბარის წინადადება ყველას როდი მოსწონებია. კომისიის ზოგიერთმა წევრმა შეჰნიშნა ჰიუბარს, თქვენგან ნარჩევი ხერხი ბევრს არას უშველის საქმესაო, რადგანაც დეპუტატებს ყოველთვის შეუძლიანთ კონგრეგაციების თხოვნის თაობაზე წინადადება შეიტანონ და კამათი გამართონო. დასასრულ გადასწყვიტეს... საქმეზე პირველ მინისტრის და იუსტიციის... ნისტრის აზრიც გავიგოთო. ...ვეთ

„რადიკალს"-ს შეუტყვია მთავრობ...ნის ხელმწიფო საბჭოს აზრს ეთანხმება / დღე... ჰიუბარისასაო. ... დონ-

✦ „ინდ. ბელჟ"-ის პარიზელი ...ოიუვანდ... ნდენტი სწერს: ...ქებით აუ-

საპარლამენტო წრეებში ბევრს ...
კობენ იმაზე, რომ ამ დღეებში

სის სხვა-და-სხვა პოლიტიკურ მოღვაწესთან საუბარი ჰქონია კონგრეგაციების თაობაზე. პირველ მინისტრად ნამყოფს თურმე არც თუ ძლიერ მოსწონს კომბის მოქცევა ასოციაციებთან. ამბობენ, ვალდეკი მალე საჯაროდ გამოაცხადებს, ან წერილით ან სიტყვიერად, თუ რით განსხვავდება იმისი აზრი კომბის აზრისაგან. ამას გარდა ბევრს რესპუბლიკის დამცველ პარტიის დეპუტატს ჰკუაში არ მოსდით თურმე ჟორესის ქცევა; ჟორესი თავის თავს თითქო მთავრობის უმეტესობის ხელმძღვანელად, ან ცენზორად სთვლიდესო.

✦ დუელი ნაციონალისტ დეპუტატს მარკიზ დე-დიონსა და სოციალისტ ჟერო-რიშარს შუა მომხდარა კიდეც. ჟერო-რიშარი ხელში დაუჭრია დე-დიონს. დუელის შემდეგ მოწინააღმდეგენი მაინც არ შერიგებულან.

✦ პა-დე-კალეს დეპარტამენტის ქვანახშირის მრეწველ ამხანაგობათა და მადნის მუშების დავის გადასაწყვეტად სამედიატორო სასამართლო დანიშნეს. სასამართლომ გაარჩია საქმე და განაჩენიც დაადგინა. განაჩენი არაა სასარგებლო გაფიცულ მუშებისათვის. მრეწველთ ამხანაგობათ ზოგიერთ მუხლში დაუთმეს მუშებს, უთანხმოება მხოლოდ პრემიების საქმეზედა-მოსდიოდათ. ამხანაგობებმა პრემიები შეამცირეს: 40%-დან 30%-მდე დაიყვანეს; მუშები თხოულობდნენ წინანდელი პრემიები დაწესდესო. ორსავე მედიატორს ერთხმად გამოუცხადებიათ, რომ 30% პრემია ნამდვილად შეეფერება ქვა-ნახშირის ეხლანდელ ფასებსაო და საბუთი არაა, რომ პრემიას მოუმატოთო. მედიატორებმა ისიც დაუმატეს, ჩვენ არა გვაქვს მონდობილი, რომ ზემოხსენებულ მოსაზრების გარდა, სხვა რომლისამე მოსაზრებით ძალა დავატანოთ ამხანაგობათ, მუშებს პრემია მოუმატონო. სამედიატორო სასამართლოს დადგენილება მით უფრო არაა სასიამოვნო მუშებისათვის, რომ სწორედ მუშებმა მოითხოვეს სამედიატორო სასამართლოს გადავცეთ საქმე და არა მრეწველთ ამხანაგობებმა.

მალე ჩრდილოეთ დეპარტამენტშიაც მოხდება სამედიატორო სასამართლოს სხდომა. ჰფიქრობენ, ეს სასამართლოც იმნაირსავე განაჩენს დაადგენს, როგორიც პა-დე-კალეში დაადგინესო.

**ინგლისი.** ედინბურგში რომ სიტყვა წარმოეთქვა, ლორდ როზბერის ერჩია ლიბერალების მეთაურებისათვის, მოლაპარაკება მოახდინეთ და გამოარკვიეთ, რა პოლიტიკას უნდა დაადგეთო. ამის თაობაზე ლიბერალური გაზ. „დეილი ნიუს"-ი სწერს: „ლორდ როზბერის აზრის შესრულებისათვის აქამდე არა გაურიგებიათ-რა, მაგრამ თითონ აზრი კი, ეჭვი არ არის, მოეწონათ იმ პირებს, რომელებსაც შეეხებათ. „პრეს ასოსიასიონ"-ის ცნობით, ადვილად შესაძლებელია, რომ როზბერის წინადადებას მალე პრაქტიკული შედეგიც მოჰყვეს. ქვედა და ზედა პალატის ლიბერალები ამბობენ, რომ ბოლოს დროს კემპბელ-ბანერმანი და ლორდ როზბერი შერიგების გუნებაზე არიან და ამიტომ შეიძლება მორიგდნენ და საერთოდ იმოქმედონო. ამბობენ, ამათსა და ამათ მოადგილეებს შუა თუნდაც რომ რამე თათბირი მოხდეს, ამ თათბირს კერძო ხასიათი ექნებაო.

„სტანდარდ"-ს შეუტყვია, ლიბერალთ წინამძღოლების თათბირი, ალბად, 1903 წლის სესიის დაწყების წინად მოხდებაო. ამ თათბირზე შეიძლება, როზბერიც მიიწვიონ. რადგანაც როზბერი თუმცა ოფიციალურ წინამძღოლთა შორის არ ითვლება, მაინც დიდი გავლენა აქვს პარტიაზე.

✦ ახალ სამხედრო წესდების ძალით ვოლონტიორები (თავის ნებით შესული ჯარისკაცები) მოვალენი არიან ყოველ ზაფხულს ორის კვირის ვადით მიდიოდნენ სავარჯიშოთ. გამოაცხადეს თუ არა ახალი წესდება, დიდძალმა ვოლონტიორმა თავი დაანება სამხედრო სამსახურს, რადგანაც საქმის კაცებს ძლიერ გაუძნელდებათ ამნაირ ვალდებულების შესრულება. სამსახურიდან გასულ ხალხის რიცხვი დღე და დღე მატულობს და წლის დამლევს, ალბად, 60 ათასამდე მიაღწევს. თუ საქმე ასე წავიდა, შეიძლება, ერთი ვოლონტიორიც აღარ დარჩეს. შოვინისტებს კიდეც აზარებთ ეს ამბავი, რადგანაც, იმათის აზრით, ეს ამბავი ამტკიცებს, რომ აუცილებლად საჭიროა სავალდებულო სამხედრო სამსახური დაწესდესო. „ტაიმს"-ის ცნობით, ლორდ ვემისი ზედა-პალატაში მალე წინადადებას წარადგენს და მოითხოვს სავალდებულო სამხედრო სამსახური დაწესდეს, რადგანაც ესაა ერთად-ერთი საიმედო და გონიერი სამხედრო სისტემა, მარტო ამ სისტემას შეუძლიან შეერთებულ სამეფოს უშიშროება დაიცვასო.

**შეერთებული შტატები.** კონგრესის წევრთა არჩევანი მოხდა და გამარჯვება რესპუბლიკელთ პარტიის დარჩა. ეს გამარჯვება იმის ნიშანია, რომ ხალხს რუზველტის პოლიტიკა მოსწონს. არჩევნის წინად დემოკრატებსა და რესპუბლიკელებს, ჩვეულებრივ, დიდი ბრძოლა ჰქონდათ. დემოკრატები უმთავრესად ტრესტებთან ბრძოლასა და სადამოჟნო ტარიფის შეცვლას ატანდნენ ძალას. დემოკრატების ბრძოლა ტრესტებთან, რასაკვირველია, გაცილებით მეტს გავლენას იქონიებდა ამომრჩევლებზე, თითონ რუზველტსაც რომ არ გაელაშქრა ტრესტების წინაამდეგ. ბევრს დემოკრატ ამომრჩეველსაც სჯეროდა, რომ რუზველტი გულ-წრფელად მოქმედებს და ნამდვილად ეცდება ხალხის ინტერესები დაიცვას უზარ-მაზარ სინდიკატებისაგან. რესპუბლიკელთა უმეტესობას კონგრესში მაინც ცოტა დააკლდა. ამ ჟამად რესპუბლიკელებს 45 წარმომადგენელი ჰყავთ მეტი ვიდრე დემოკრატებს. მომავალ კონგრესში კი, ამბობენ, 26 კაცი ძლივს ეყოლებათ მეტიო. ახალი კონგრესი მარტო 1903 წლის 4 მარტიდან (ახ. სტ.) დაიწყებს მოქმედებას და 386 წევრი ეყოლება, ესე იგი, ეხლანდელ კონგრესზე 29-ით მეტი. ხალხის წარმომადგენელთა რიცხვს ახალ აღწერის დაკვალად მოუმატეს.

კონგრესის წევრთა არჩევანი 24 შტატში მოხდა. ამას გარდა 27 შტატში ადგილობრივ კანონ-მდებელ კრებათა წევრების არჩევანიც მოხდა. ეს კრებები შემდეგში ფედერალურ სენატორებს აირჩევენ იმათ ბადლად, ვინც ეხლა რიგით თავს ანებებენ სენატში სამსახურს.

ნიუ-იორკის შტატში პარტიებს ძლიერი ბრძოლა მოჰსვლიათ გუბერნატორის არჩევის დროს და ხელ-მეორედ რესპუბლიკელი ოდელი აურჩევიათ, მაგრამ ოდელი უფრო სოფლის ოლქებს აურჩევიათ, თორემ თითონ ქალ. ნიუ-იორკს დიდ-ძალი ხმა მიუცია დემოკრატების კანდიდატის კოლერასათვის (330 ათასი ხმა კოლერს მიუღია, 210 ათასი ხმა ოდელს). საზოგადოდ ოდელს თავის მოცილეზე სულ 11 ათასით მეტი ხმა მიუღია; ორის წლის წინად კი 110 ათასი ხმა მიუღია მეტი. საინტერესოა ისიც, რომ პენსილვანიაში, სადაც ამას წინად ქვა-ნახშირის მუშებს დიდი გაფიცვა ჰქონდათ გამართული, გუბერნატორად რესპუბლიკელი აურჩევიათ; პენსილვანიის შტატის კანონ-მდებელთა კრების წევრებადაც რესპუბლიკელები აურჩევიათ.

✦ მადნის მუშების მეთაურმა მიჩელმა სამედიატორო კომისიას პენსილვანიის ქვანახშირის მუშების მოთხოვნილება წარუდგინა. მიჩელს ეს მოთხოვნილება დაწვრილებით დაუსაბუთებია. მუშები შემდეგს თხოულობენ: 1) სამუშაო ქირის 20% მოემატოს; 2) რვა საათის სამუშაო დღე დაწესდეს; 3) გამოღებული ნახშირი უფრო სამართლიანად აიწონოს. 4) ქვა-ნახშირის სინდიკატმა მუშების კავშირის თანახმად უნდა შეადგინოს მუშების დაქირავების წესები.

მუშებმა ჯერ კიდევ მარტში მოსთხოვეს სინდიკატს ამ ოთხი მუხლის შესრულება, სინდიკატმა უარი უთხრა და მუშებმაც გაფიცვა მოახდინეს.

**ავსტრო-ჰუნგრეთი.** „პესტერ ლოიდ"-მა მრისხანე წერილი დაბეჭდა კერბერის წინააღმდეგ. ამბობენ, ეს წერილი ჰუნგრეთის მთავრობის შედგენილიაო. წერილი ამტკიცებს: კერბერს ტყუილად აქვს იმედი, ვითომ ჰუნგრეთი ყველაფერს მოითმენს და დასთანხმდება, ოღონდ შეთანხმება კი ჩამოაგდოს ავსტრიასთანაო. კერბერს სელის სიტყვებიც ვერ გაუგია სწორედ; სელს არას დროს არ უთქვამს, რომ შეიძლება შეთანხმება 1907 წლამდეც გადაიდოს, ესე იგი იმ დრომდე, როცა სხვა-და-სხვა სახელმწიფოებთან სატაჟმოჟნო ხელ-შეკრულობებს ვადა გაუვაო. ამას გარდა „პესტერ ლოიდ"-ი ამბობს: ავსტრიის პარლამენტი ამდენი ხანია ვეღარ მოქმედებს, ავსტრიის მთავრობაც ცუდათ იქცევა შეთანხმების საქმეში. ამ გარემოებამ შეარყია რწმენა მონარქიის ორსავ ნაწილის საპოლიტიკო და საფინანსო ერთობისადმი და სატამოჟნო ერთობის დასარღვევად ნიადაგი მოამზადა. გაზეთი კერბერს ბრალსა სდებს, ჰუნგრეთს ძლიერ ცუდად ექცევაო; რაკი საშინაო საქმეში ვერას გამხდარა, სულ იმასა ცდილობს, ჰუნგრეთზე მაინც გაიმარჯვოს. თუ ამ წერილში მართლა სელის აზრია გამოთქმული, კერბერი იძულებული იქნება, უსათუოდ რამენაირად შეურიგდეს ჩეხებს.

# ახალი ამბავი

✦ მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულმა ტფილისისა, დუშეთისა და გორის მაზრების მცხოვრებთა ვენახების ფილოქსერის მხრივ შესამოწმებლად გაგზავნა **საფილოქსერო დასი** ექსპერტის სპეშნევის ხელმძღვანელობით. გუშინ საგუბერნიო გამგეობამ მისწერა მაზრების უფროსებს დახმარება გაუწიონ დასს მინდობილების აღსრულების დროს.

✦ როგორც ვუწყით, ქირიან საქონელს ბეითლები სპობენ, რისთვისაც საქონლის პატრონებს ფული ეძლევათ. ტფილისის გუბერნატორს გადაუწყვეტია, დაზარალებულთა დასაკმაყოფილებელი ფული ხაზინიდან პირდაპირ იმ ბეითლებს ეძლეოდესთ, რომელთაც ჩაბარებული აქვთ მთელის მაზრის თვალყურის გდება. რადგანაც ბეითლები ხშირად აღნიშნულ ფულს მაზრის უფროსისაგან იღებენ და ამგვარად შესაძლებელია ანგარიშის არევა. გუშინ-წინ საგუბერნიო საბეითალო ინსპექტორმა მისწერა **მაზრის უფროსებს** ფული უსათუოდ იმ ბეითლებს მისცენ მხოლოდ, რომელთაც ჩაბარებული აქვთ მაზრის ამ მხრით გამგებლობა.

✦ 1900 წელს ცეცხლმა დიდი ზარალი მიაყენა **დიდუბის ზოგიერთ მცხოვრებთ**, რომელთაც ამის გამო მიჰმართეს ქალაქის გამგეობას და შემწეობა სთხოვეს. ეს განცხადება გამგეობამ განიხილა 30 ოქტომბრის სხდომაზე და გადასწყვიტა, მიიწვიოს დიდუბის მღვდელი მ. ცინცაძე და იმასთან ერთად 5 ნოემბერს შეადგინოს სია დიდუბის იმ მცხოვრებთა, რომელთაც ზარალი მოუვიდათ.

✦ **საფილოქსერო კომიტეტს განკარგულება მოუხდენია**, რომ ტფილისის თავად-აზნაურთა მამულიდან სოფ. სკრაში არ გამოიტანონ არც ვაზი და იმისი ნაწილები, არც ყურძენი, აგრეთვე სხვა მცენარეულობაც— ბალახი, თივა და ჩალა, კომბოსტო, ან მიწა და მარგილები. ეს განკარგულება იმან გამოიწვია, რომ ამ მამულში კომიტეტს ფილოქსერა აღმოუჩენია.

✦ **საზებიო ინსტიტუტში** ქალაქმა ოთხი სტიპენდია დააარსა დიდი მთავარის მიხეილ ნიკოლოოზის ძის სახელობაზე და იმისათვის ყოველ-თვიურად რვა თუმანი გადასდო. ინსტიტუტის დირექტორს წარუდგენია ოთხი მოსწავლე ქალი ამ სტიპენდიების მისაცემად ამ რიგად: ერთს სამი თუმანი, ორს ორ-ორი თუმანი და ერთსაც—ერთი თუმანი თვეში. გამგეობამ კი, თანახმად საბჭოს დადგენილებისა, სტიპენდიები ოთხსავე ქალს თანასწორად დაუნიშნა ორ-ორი თუმანი თვეში.

✦ გუშინ-წინ ოლქის სასამართლომ განიხილა პოლიციის მიერ აღძრული საქმე **დახურული ბაზრის ხრუშიად დანგრევის** შესახებ, რადგანაც შენობები დაძველებულია, ოლქის სასამართლომ გარდასწყვიტა, დააჯარიმოს თითოეული სახლის პატრონი ხუთ-ხუთის მანეთით და ამასთანავე დაავალოს მათ, 8 თვის განმავლობაში შეაკეთონ შენობანი.

✦ ქალაქის გამგეობა და პოლიცმეისტერი შეთანხმებულან, რომ **ქალაქის ქუჩები** ღამის 12 საათიდან დილის 8 საათამდე უთუოდ დაწმენდილი იყოს და ნაგავიც ამ დროს გაიზიდოსო. ის ქუჩები, რომელიც დღეში ორჯელ ირწყვება, ორჯელ უნდა გასუფთავდესო. აღკრძალულია იმ დროს დაიწყონ მეეზოვეებმა ქუჩების გასუფთავება, როცა ქუჩებში ხალხის მოძრაობაა.

✦ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ ქალაქის გამგეობამ მექანდაკეს ხოდოროვიჩს შეუკვეთა ნიმუში **გოგოლის ძეგლისა**, რომელიც უნდა დაიდგას ალექსანდრეს ბაღში. ოდოროვიჩის მიერ წარდგენილი მოდელი, გამგეობამ განიხილა 30 ოქტომბერს და გადასწყვიტა დასდგას ალექსანდრეს ბაღში ძეგლი. გამგეობამ ამასთანავე დაადგინა ხელშეკრულობა დასდვას ბ-ნ ხოდოროვიჩთან ძეგლის აგების შესახებ.

✦ **ღამით თავშესაფარების** გამგე კომისიას დაუდგენია მეორე თავ-შესაფარის სადგომში (დიდუბეში) ზოგი შიდა-კედელი აიღოს, რომ ამით სადგომი გაგანიერდეს და საკმაო რიცხვი მსმენელთა მოთავსდეს იმ დროს, როცა სახალხო საკითხავებს გამართავს ხოლმე ამ საქმის გამგე კომისია.

ექიმ ქალს შჩერბინინას გამოუცხადებია კომისიისათვის, 1 ლი თავ-შესაფარი (მაიდანზე) დავათვალიერე და აუწერელ მდგომარეობაში ვნახეო: სახლი ორ-სართულიანია; ქვემო სართული იმდენად ბნელი და ნესტიანია, რომ თვითონ ღარიბებიც კი ძნელად შედიან იქ, რადგან კმარა ორი-სამი ღამე გაათიოს, რომ თავის ტკივილი და მუხლების მტვრევა აუვარდეთო. ზემო სართულში-კი ოთხი ოთახი ზედამხედველს დაუჭერია და ორი-სამიოდე პატარა ოთახი თავ-შესაფარისათვისაა მიჩენილი და ღამის მთევარნიც იქ მიეშურებიანო. ყოველ ღამე ასამდე კაცი აწყდება ამ თავ-შესაფარს, სადაც არც სამზარეულოა და არც სარეცხის დასარეცხი ადგილიო. ქ-ნ შჩერბინინას სიტყვით, ამ თავ-შესაფარში ისეთებიც არიან, რომელნიც მძიმედ ავადმყოფებია და საწოლიდან ადგომაც არ შეუძლიათ; საჭიროა ქალაქმა ამათ დღეში სამჯერ ჩაი-შაქარი მიუჩინოს და საწოლ-სახურავი დაურიგოსო.

კომისიას მიუნდვია ტეხნიკოსისათვის, სახლის შესაკეთებლად ანგარიში და პროექტი შეადგინოს და წევრნი კომისიისა ხვალ აპირებენ ამ თავ-შესაფარის დათვალიერებას.

✦ ტფილისის ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის უფროსმა ზედამხედველმა წარუდგინა გუშინ ქალაქის გამგეობას ხარჯთ-აღრიცხვა მომავალ 1903 წელს სავაჭრო პოლიციის მოხელეთა შესანახად. სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის შესანახად 1903 წელს საჭიროა სულ 17,140 მან., ხოლო სხვა წვრიმალ ხარჯებად 2510 მან.

✦ მოგვივიდა ახალი ქართული წიგნი ბ. იოსებ იმედაშვილის გამოცემა (№ 22): „კაცი ვარ და ქუდი მხურავს" კომ. 3 მოქმ. თავ. ივ. რევ. გაჩნაძისა.

✦ იბეჭდება და მალე გამოვა იმავე გამომცემლისაგან ახლად შედგენილი წიგნი „ცხოვრების სარკე. პიესების კრებული. წიგნი მესამე", სურათებით. კრებულში, სხვათა შორის, რამდენიმე ახალი პიესაც იქნება.

✦ ხვალ, 2 ნოემბერს, სახალხო თეატრში ქ-ნ გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით და ბ-ნ ვ. გამყრელიძის რეჟისორობით სცენის მოყვარენი წარმოადგენენ ა. ცაგარლის 4 მოქმედებიან კომედიას „როგორც მოხვალ სვინაო, ისევ წახვალ შინაო". წარმოდგენა დაიწყება საღამოს 7½ საათზე. ამავე კომედიას სცენის მოყვარენი გაიმეორებენ რკინის გზის სახელოსნოების თეატრში 9 ნოემბერს.

✦ **შეცდომის გასწორება.** „ცნ. ფურც."-ს მე-1969 ნომრის „სასამართლოში" შეცდომით დაბეჭდილია: ასათიანსა და ღარიბოვს პალატამ გადაუწყვიტა პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა ½ წლით, ხოლო სუმბათ ფრანგულიანცს 1½ წლით საპყრობილეში დაპატიმრებაო. პალატამ ასათიანსა და ღარიბოვს 1½ წლით გადაუწყვიტა რაზმში გაგზავნა, ხოლო ფრანგულიანც-1½ თვით საპყრობილეში დაპატიმრება.

✦ დიდის მთავრის ქუჩაზე ანნა ფურცელაძის სადგომში მისსავე მსახურს ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებს მიხეილ გომართელს გაუტეხია ყუთი, ამოუღია იქიდან 68 მან. ფულად, 5 ოქროს ბეჭედი, ქალის ოქროს საათი და სხვა ძვირფასი ნივთები, სულ 160 მანეთისა, და სადღაც მიმალულა.

✦ პოლიციის მე-8 ნაწილში 30 ოქტომბერს წესიერების დარღვევისათვის მეეზოვეს და პოლიციის მოხელეს დაუპატიმრებიათ ავაქ პეტროსიანცი და ავეტის ასოევი. მეეზოვეს შეუნიშნავს, რომ პეტროსიანცმა რაღაც გადააგდო ღობეს მეორე მხარეს; ნახეს და აღმოჩნდა, რომ პეტროსიანცს 20 ყალბი მანეთიანი გადაეგდო. პოლიციაში გამოკითხვის დროს პეტროსიანცმა განაცხადა, ფული მე არ გადამიგდია და ჩემი არ არისო. ხოლო როცა მეეზოვე წაუდგა პირში, მაშინ პეტროსიანცმა განაცხადა, რომ ამ რამდენისამე ხნის წინად შემხვდა უცნობი კაცი, სახელად მუკუჩი, რომელსაც თხოვნისამებრ მივეცი 4 ოქროს ხუთმანეთიანი და ნაცვლად 20 მანეთი მომცა. მაშინ ვერა შევატყვე-რა და შემდეგ გავიგე, რომ იმ კაცმა ყალბი ფული შემომატყუა. აქამდე ეს ამბავი არავის გავუმხილე, რადგან მეშინოდა პასუხის გებაში მიცემისაო. პოლიციამ მაშინათვე გაჩხრიკა პეტროსიანცის და

ასოევის სადგომი, მაგრამ მათ არავითარი ფულის საკეთებელი იარაღი არ აღმოაჩნდათ. გამოძიება სწარმოებს.

## ქუთაისის ახალი ამბები

✦ 28 ოქტომბერს, კავკასიის სამოსწავლო ოლქის ინსპექტორმა ბ-ნმა სლავინსკიმ დაათვალიერა ებრაელების ახალი სკოლა და ძლიერ კმაყოფილი დარჩა როგორც მშვენივრად მოწყობილ შენობით, ისე მოხდენილად ჩაცმულ მოწაფეების ნახვით. ამ სკოლის საპატიო მზრუნველს ბ-ნ ლანგს მადლობა გამოუცხადა სკოლის ასე ლამაზად მოწყობისათვის.

✦ ქალაქის გამგეობის წევრებად არჩეული კანდიდატები ვ. კ. ალშიბაია და ვ. ნ. კანდელაკი წარდგენილ იქმნენ დასამტკიცებლად ბ-ნ გუბერნატორთან.

✦ ქუთაისის ქალაქის საბჭოსათვის უთხოვნია საბრეშუმო სადგურის ინსტრუქტორს ი. ქუთათელაძეს, რომ დამითმეთ სალორიაში ქალაქის მიწა იმ პირობით, რა პირობითაც ბავშთათვის მზრუნველ საზოგადოებას დაუთმეთო. ხსენებულ მიწაზე კავკასიის საბრეშუმო სადგურს განზრახვა აქვს გააშენოს ბჟოლის (თუთის) ხის საუკეთესო სანერგე, საიდანაც სოფლელებს მიეცემათ დაკლებულ ფასად ბჟოლის ნერგები და დარიგება-ცნობები ბჟოლის გაშენების შესახებ.

✦ ჯარში გაწვეულ ახალგაზრდათა შემოწმება-გასინჯვა ჯერ არ დამთავრებულა ქუთაისში. ახლად გაყვანილი ახალგაზრდანი და მათი მშობლები მოუთმენლად მოელიან შემოწმებას. არავითარ ღონეს არ აკლებენ, ოღონდ კი გაიგონ, მოვლენ ზომაში თუ არა. ამ გარემოებით სარგებლობენ ქუჩის „აბლაკატები“. როგორც გადმოგვცეს, სამხედრო საკრებულოს პირდაპირ, დუქანში, ბალახვანის ქუჩაზე გაუხსნიათ კიდეც „მეორე საკრებულო“, სადაც მაგიდას უსხედან თურმე სამსახურიდან დათხოვნილი „ჩინოვნიკები“, რომელნიც ზომავენ და ამოწმებენ გაწვეულ ახალგაზრდებს და თუ რომელსამე მათგანს რამე ფიზიკური ნაკლულევანება აქვს და ზომაში არ მოდის, ამისთანას პირობით ეკვრებიან, თუ ამდენსა და ამდენს მოგვცემ, გაგანთავისუფლებთ „სალდათობიდანაო“ და ასე ატყუებენ.

სწორედ დაბრუნდა ქუთაისში ერთის განთქმულ აბლაკატის დრო, როდესაც საბრალო სოფლელებს ატყუილებდნენ, „პატარა წიგნის კანონებით დავიცვაშენი საქმე, თუ დიდისაო“?!.

✦ 29 ოქტომბრიდან ქალაქის გამგეობა ქუთაისას დარიბებს ბილეთებს ურიგებს სადორიის ტყიდან თითო ურემ ფიჩხის გამოსატანად. სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ არა დარიბებიც არ უკადრისობენ ასეთ საჩუქარს და თითქმის ნამდვილ დარიბებზედაც უფრო ადრეც მოდიან; უკანასკნელნი ვერც კი ასწრებენ ბილეთების აღებას და სულ უშემწეოდ რჩებიან.

✦ 29 ოქტომბერს ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდა ვაჭრობა სამწვანილოზე აშენებულ დანარჩენ ათის ბუდკის გასაცემად. ვაჭრობას, როგორც წინად, ეხლაც ბევრი ხალხი დაესწრო. თითო ბუდკა გაიცა 100 —240 მანეთად წელიწადში. კარგი იქმნება, ქალაქმა სასწორთანაც ააშენოს ამგვარივე ბუდკები: თუ მეტი არა, ერთი 1500 მანეთი მაინც შემოუვა ყოველწლიურად.

## რუსეთის ქრონიკა

„რუსკი ინვალიდ“-ში დაბეჭდილია: სექტემბრის დამლევს ქალაქს ბოდუნეს, რომელიც ხარბინიდან 140 ვერზე მდებარეობს, თავს დაეცა 700 ხუნზუხი. ჩინელმა პოლიციელებმა უბრძოლველად დაუთმეს ხუნზუხებს ქალაქი. გამარჯვებულთ შეიპყრეს ფუდუტუნი და დასწვეს მთავრობის დაწესებულებანი. როდესაც ეს ამბავი ციმბირის მეორე კორპუსის უფროსმა გაიგო, ჯარი გაჰგზავნა. 11 ოქტომბერს რაზმმა ქალაქს ზარბაზნები დაუშინა. მალე კედელი გაარღვიეს, ჯარის კაცები შევიდნენ და გაანთავისუფლეს ფუდუტუნი, რომელმაც მხოლოდ რამდენიმე წამი-ღა იცოცხლა. ჯარმა შეიპყრო რამდენიმე ხუნზუხი, მათ შორის წინამძღოლი. დანარჩენნი ზოგნი გაიქცნენ, ზოგნიც ამოჟლიტეს. წინამძღოლი სიკვდილით დაისაჯა. რადგანაც ჩინეთის ადმინისტრაცია დაუდევრად იქცევა, ამიტომ გენერალმა შტაკელბერგმა ქალაქ ბოდუნეში რუსის მეციხოვნენი ჩააყენა“.

✦ მკითხველებმა უკვე იციან, რომ ახლო მომავალში მოხდება სრულიად რუსეთის ბეიათალთა კრება. სხვათა შორის, ამ კრებამ ერთი საყურადღებო საქმე უნდა განიხილოს—შემოიღონ თუ არა სოფლის სკოლებში ბეითლობის საელემენტარო ცოდნის სწავლება?

✦ ჰფიქრობენ შესცვალონ ის წესები, რომელიც დღეს არსებობს მედიცინის დოქტორის წოდების მისაღებად. სათანადო მთავრობა მალე შეუდგება ამ საქმის განხილვას.

## პატარა დღიური

### ქალთა ბრძოლა.

ტრაგედია ერთ მოქმედებად მასწავლებელ ქალთა საზოგადოების ცხოვრებიდან.

მომქმედნი პირნი:

| | |
|---|---|
| პოეტი ქალი.<br>კანონების მცოდნე ქალი<br>მჭერმეტყვ. ყმაწვ. კაცი<br>იურისტი | რეფორმის მოწინააღმდეგენი. |
| ახალგაზრდა ქალი.<br>სოფლის მასწავლებელი | რეფორმის მომხრენი. |

თავმჯდომარე, წევრნი საზოგადოებისა და გარეშენი.

(ფარდა რომ აიხდება, გამოჩნდება ხალხით სავსე დიდი დარბაზი. უმრავლესობას ქალები შეადგენენ; ყველას არა ჩვეულებრივი აღელვება ეტყობა. ზოგ ქალს სახელოები გადაწეული და კაბა აკაპიწებული აქვს, ზოგს ხელში ქოლგა უჭირავს, ზოგს კიდევ შლიაპის დიდი ქინძისთავი, — ეტყობა საბრძოლველად ემზადებიან. შუა დარბაზში სტოლი სდგას, გარს ქალები ახვევიან. მამაკაცები შიშისაგან კუნჭულებში მიმალულან და იქიდან გაუბედავად იყურებიან. ზოგს პალტო აცვია და ქუდი ჰხურავს,—როგორცა სჩანს, გასაქცევად არიან მომზადებულნი. საოცარი ხმაურობა და აურ-ზაურია.

თავმჯდომარე (დიდხანს ზარს აწკარუნებს). კრება დაიწყო. ბძანეთ, ვისაც რა გნებავთ.

პოეტი ქალი (ამაყად გადაჰხედავს დარბაზს და ხელების ქნევით დაიწყებს). მე მინდა ბევრი რამ მოგახსენოთ პატივცემულ საზოგადოებას. მინდა საბუთებით დაგიმტკიცოთ მავნებლობა იმ საქმისა, რომელიც ზოგიერთ მოღალატეებს ჯანუზრახავთ. ჩვენს საზოგადოებაში მამაკაცების შემოყვანას სცდილობენ; დიახ, მამაკაცებისას!.. მერე იცით, მამაკაცი რა არის? იგი ისეთი სულდგმულია, რომელსაც სხვა ცუდ ზნესთან ერთად წვერები და ულვაშებიცა აქვს. ასე გასინჯეთ, მამაკაცთა შორის მელოტ თავიანნიც არიან... საბუთების მოყვანას აღარ განვაგრძობ და მოკლედ მოგახსენებთ. ჩემი აზრი ის არის, რომ არც ერთი მამაკაცი არ მივიღოთ! ეხლა, ბატონებო, ინდოეთშიაც-კი ქალები ცალკე აკეთებენ საქმეს და კაცები კიდევ ცალკე. უნდა დაუმტკიცოთ ყველას, რომ ჩვენ ქალები ვართ და არა კაცები და ამიტომ არც ერთი მასწავლებელი კაცი არ უნდა მივიღოთ. ზიარების მადლმა, რაცა ვსთქვი, მართალია!.. მე გავათავე.

(რეფორმის მოწინააღმდეგეთა შორის ტაშის-ცემა და ხმაურობაა. გაიძახიან „ურას“, „ბრავოს“ და სხვ.)

ერთი წევრი (მეორეს). რა მშვენიერი და დასაბუთებული სიტყვა წარმოსთქვა. პირველად მესმის ასეთი მჭერმეტყველური ლაპარაკი. მგონი, საფრანგეთის პარლამენტშიაც ვერავინ იტყვის ამგვარ სიტყვას. ჰი, მოჰხვდათ თუ არა მომხრეებს!..

მეორე წევრი (პირველს). არა, შენ ყურადღება მიაქციე, რა ლოღიკით დაამტკიცა ყველაფერი. სულ წმინდად დაამარცხა მომხრენი...

მესამე წევრი. ეშმაკს, კაბაც რომ ახალი ჩაუცვამს!..

მჭერმეტყველი ყმაწვილი კაცი (საზოგადოებას). პატივცემულმა ორატორმა ისეთი საბუთები მოიყვანა, ისე ნათლად გამოარკვია საქმე, რომ მე თითქმის ყველაფერს დაუმატებ... ჭეშმარიტებაა, რომ ქალები ქალები არიან და კაცები კაცები. ისიც მართალია, კაცები რომ მიიღოთ, ქალები და კაცები ერთმანეთში აირევიან. არა, ყოვლად შეუძლებელია!.. ეხლა, ბატონებო, ამ მეოცე საუკუნის დასაწყისს, როდესაც განათლებამ უმაღლეს წვერამდე მიაღწია, როდესაც ვაჭრობა-მრეწველობით ხალხი დიდძალ ფულს იძენს, როდესაც ყველგან მაღაზიები და დუქნებია, თქვენ, პატივცემულნო მანდილოსანნო, გინდათ თქვენს წრეში მამაკაცები მიიღოთ?!.

(უფრო ძლიერი ტაშის ცემა და ხმაურობაა).

მეოთხე წევრი (მეხუთეს). რა ლამაზი თვალები აქვს. მე სულ თვალებში ვუყურებდი...

მეხუთე. ცხვირიც კარგი აქვს. საზოგადოდ მეტად სიმპატიური ყმაწვილია. ეტყობა, დიდად განათლებული და განვითარებული უნდა იყოს. ქალთა კითხვაც კარგად უნდა ჰქონდეს შესწავლილი.

კანონების მცოდნე ქალი (საზოგადოებას). ბატონებო, ბევრი ლაპარაკი რა საჭიროა! კანონის ძალით ნება არა გვაქვს ეს საქმე გადავსწყვიტოთ. კანონის მუხლებსა და თავებში ნათლად არის უთუოდ ყოველივე გამორკვეული. აი თუნდ იურისტსა ჰკითხეთ!..

იურისტი. ჭეშმარიტებაა. მე სულ ზეპირად ვიცი ეს მუხლები და თავები და გარწმუნებთ, რომ ყოველივე ისეა, როგორც იქ არის ნათქვამი. როდესაც კანონ-მდებელი ამ მუხლებს ადგენდა, იგი შორს გამჭვრეტელობით ხელმძღვანელობდა და იქით იყურებოდა, საითკენაც სხვები ვერ გაიხედავენ. ჩემის სიტყვების შემდეგ, მე მგონია, ყველანი დარწმუნდებით, რომ მართალს ვამბობ...

(აქეთ-იქიდან: „მართალია, მართალი; გაუმარჯოს ფემინიზმს!“).

ახალგაზრდა ქალი. სწორედ მაოცებს რეფორმის მოწინააღმდეგეთა ლაპარაკი. ვერც ერთის საბუთით ვერ დაგვანახვეს მავნებლობა საზოგადოების გაფართოვებისა და მასწავლებელ კაცთა მიღებისა. ჩვენ მოხსენება წარმოგიდგინეთ, რომელშიაც ვრცლად ვამტკიცებთ წესდების შეცვლის საჭიროებას. საბუთებს აქ აღარ გავიმეორებ, გეტყვი მხოლოდ, რომ ჩვენი საზოგადოება ერთ წერტილზე შეჩერდა. საჭიროა მოქმედების გაფართოვება, საქმის ქალაქიდან სოფელში გადატანა, იმათი დახმარება, ვინც მიყრუებულ კუთხეებში მთელ ქვეყანას მოწყვეტილნი არიან. რა ადგილი აქვს აქ ან ქალთა კითხვას, ან ბატონ-ყმობას, ან ინდოეთსა და სპარსეთს?..

სოფლის მასწავლებელი. ბატონებო, მე თვითონ სოფლის მასწავლებელი გახლავართ და გარწმუნებთ, რომ ჩვენგან არავითარი შიში არ მოგელით. სოფლის მასწავლებელთა მიღებით საზოგადოება დიდად ნაყოფიერი შეიქმნება. თვალსაჩინო სარგებლობას მოუტანთ მასწავლებელთ, რომელთაც არც შეძლება და არც გარემოება ნებას არ აძლევთ...

ერთი წევრი (გააწყვეტინებს). ლაპარაკი რა საჭიროა, ვერ მივიღებთ, მორჩა და გათავდა!.. სხვა რომ არა იყოს რა, სოფლის მასწავლებლებმა ცხვირის მოწმენდაც კი არ იციან ხეირიანად!

(ასტყდება ხმაურობა. ხმა მაღლა გაიძახიან: ვერ მივიღებთ, ვერ მივიღებთო“. ზოგგან ქალები ერთმანეთზე მიიწევენ. ვილაც დაიძახებს „კენჭიო“ და ნახევარი დარბაზი ბანს აძლევს. შემოაქვთ ყუთები და იწყებენ კენჭის ყრას, შემდეგ თვლას).

თავმჯდომარე (როდესაც კენჭის თვლას გაათავებს). მოკვდა რეფორმა!..

მოწინააღმდეგენი. გაუმარჯოს ფემინიზმს! გაუმარჯოს ქალებს!..

(ამ ყვირილზე მამაკაცები შიშით გარედ გარბიან. გამარჯვებულნი ამაყად დადიან დარბაზში და ერთმანეთს ჰკოცნიან და ულოცავენ. ფარდა ნელ-ნელა ეშვება).

Spectator

## წერილი სახხერიდან

მოსავალი.—ქურდობა-ყაჩაღობა.—უექიმობა.

გათავდა რთველი. ყველაფერის მოსავალი წრეულს საშუალო იყო. დღეს ფუთი სიმინდი 80 კაპ. იყიდება; ხორბალი—90 კ.—1 მანეთამდე. ყურძენი სულ არ ყოფილა გასასყიდი და თუ ხანდახან ვინმე შემოიტანდა, ფასში ვერ მოურიგდებოდით, ისე ძვირად აფასებდა. როგორც ყურძენი იყო ძვირი, ისე ძვირია ღვინოც: ადგილობრივ ღვინოს აქაურს ბაზარზე თვალითაც ვერა ჰნახავთ. მიკიტნებს ღვინო სულ ქვემო სოფლებიდან მოაქვთ, ათასნაირად სწამლავენ და მერე ერთი ორად ჰყიდიან. ღვინის სიძვირე არაფერია კიდევ, რომ უსაჭიროესი სანოვაგე არ ძვირობდეს.

წინად აქეთკენ ქურდობა იშვიათი მოვლენა იყო, ახლა კი კვირა არ გავა ისე, რამდენიმე ქურდობა არ მოხდეს. იპარვენ ყველაფერს, რასაც კი მოახელებენ: ცხენს, ხარს, ქათამს და ჭირნახულს. სექტემბრის ბოლო რიცხვებში ს. საირხის მღვდელს მესხს ცხენი მოჰპარეს; 25 ენკენისთვეს სახხერის მღვდელს აბრამიშვილს სახლიდან ძვირფასი საათი მოჰპარეს. ქურდობის მიზეზი ბევრია, მაგრამ უმთავრესად მაინც სიღარიბეა. თოთხმეტი თვეა, რაც უგზოდ გავარდნენ ს. ზოდის მცხოვრები ბუზალაძეები და მკვიდრთ მოსვენებას არ აძლევენ არც დღე და არც ღამე. მეტად შეწუხებულნი არიან მათგან რაჭაში მომავალ-მიმავალნი და წირქვალის საზოგადოების მკვიდრნი. 14 ოქტომბერს, დამე, შეუცვივდნენ ს. ვანის მცხოვრებს სპირიდონ ჭუმბურიძეს და მოსთხოვეს ფული. მოტყუებით ჭუმბურიძე გაჰქცევიათ და მეზობლებისთვის შეუტყობინებია. ყაჩაღები შეუცვივდნენ ახლა მღვდელს მ. ყაველაშვილს; ვერც იქიდან წაიღეს რამე. მხოლოდ გზაზე შეჰხვდათ ებრაელი და ის გაძარცვეს. საბედნიეროდ, ალმასხან ბუზალაძე 26 ოქტომბერს, დამე დაიჭირეს სახალხო მატარებელში სად. სალიეთში, სიმონ ბუზალაძე კი გაქცათ.

რაც აქედან სააგადმყოფო გადიტანეს ხარაგაულს, მას შემდეგ უექიმოდ ვართ. ზაფხულში გვეწვია ექიმი მაჭავარიანი და ჩვენს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, რადგან გვეგონა დიდხანს დარჩებოდა სახხერეში; მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა და ბ-ნი მაჭავარიანი სექტემბერში წავიდა. აქაურებისთვის ექიმი ზამთარშია საჭირო, როცა ათასნაირი სენი ჩნდება. სახხერეში 1450 სული ქალი და კაცი სცხოვრობს, გარშემო საზოგადოებიანად სულ 10,000 სულამდეა თითქმის და ერთი ექიმი, თუ კი შრომას არ დაერიდება, კარგად შეინახავს თავს და ჩვენც გამოგვიხსნის ბევრ უბედურებისაგან.

საყურიელი

## დაბა-სოფლები

ჩოჩხათი (გურია). ჩოჩხათსა და მიქელგაბრიელს შუა ჩაუდის მდინარე სუფსა, რომელიც სწორედ ამ ადგილას მეტად ჩქარა მირბის. ამ სოფლებში მიმოსვლა ძნელია, რადგან სუფსაზე ხიდი არ არის, ხალხი გადი-გამოდის ნავით, რის გამო ხშირად უბედურება ხდება. წელიწადი ისე არ გაივლის, მდინარემ არავინ იმსხვერპლოს. მენავეებიც ვერ იქცევიან რიგიანად· მთელი სამი საათი უნდა ეძახო და მხოლოდ მაშინ შეიძლება, ისიც თუ კარგ გასამრჯელოს მისცემსთ, ედირსოთ გაღმა გასვლას. 27 ოქტომბერს, საღამოთი, ს. მიქელ-გაბრიელიდან მინავალა სახლში ჩოჩხათის მცხოვრები 23 წლის კირილე გუდაძე. მისულა მდ. სუფსასთან, ბევრი უძახნია მენავეებისათვის, მაგრამ მენავეებს ხმა არ გაუციათ. შემდეგ, რადგან ძლიერ საჭირო საქმე ჰქონია და ფონიც დაბალი ჰგონებია, მდინარეში გასვლა უცდია, მაგრამ წყალს წაუღია და დაუხრჩვია. ბევრს კიდეც გაუგონია შემაძრწუნებელი ყვირილი, „მიშველეთო“, მაგრამ არავინ მიჰშველებია. დამხრჩვალს ეძებენ მაგრამ, დღემდეც ვერ იპოვნეს.

ვინმე ჩოჩხათელი

## კიდევ ბამბის მწარმოებელთა საყურადღებოდ

„ცნობის ფურცლის“ მე-1967 ნომერში დაბეჭდილია წერილი ქუთაისიდან ბ-ნ მათე ჭრელაძისა, რომელიც მისაყვედურებს, „ბ-ნ ქუთათელაძე ბამბის საქმის თაობაზე ნუგეშს დიდს გვაძლევს გაზეთში და საქმით კი წინაღმდეგს გვედავთო“ და სხვა და სხვა.

ვაუწყებთ ბ-ნ ჭრელაძეს, რომ ყოველივე ის, რაც ჩვენ ამას წინად გაზეთში აღვნიშნეთ *) იმის შესახებ, თუ რა ზომებს მიიღებს წელს ქუთაისის სამეურნეო ამხანაგობა „კოლხიდა“ ბამბის აღებ-მიცემობის გაწეს-რიგების საქმისათვის, ამხანაგობის გამგეობამ სავსებით შეასრულა და ჩვენ მიერ ნათქვამი სიტყვა საქმითაც გაამართლა. ამხანაგობამ იმის გასაადვილებლად, რომ პირ-და-პირ ბამბის მწარმოებლებთან დაიჭიროს საქმე და დახმარება გაუწიოს მათ ადგილობრივად ბამბის რიგიან წონისა და ფასების დაწესების საქმეში, გახსნა ბამბის უმთავრეს რაიონში —სოფ. სიმონეთსა, სალომინაოსა და ამაღლება-ბზვანში განყოფილებები, რომელთაც განაგებენ პირველ ორს—გამგეობის წევრების კანდიდატები ბ-ნნი ისიდორე კვიცარიძე და დავით დუღაძე, ხოლო მესამეთ—ამაღლება-ბზვანის განყოფილებას განაგებს ამხანაგობის ადგილობრივ წევრებიდან შემდგარი კომიტეტი, რომელსაც ეხმარებიან ამხანაგობის მიერ დაქირავებულნი საქმის მცოდნე კაცები. ყველა განყოფილებაში ამხანაგობას მოწყობილი აქვს ბამბის წონის საქმე იმ რიგად, რა რიგადაც გამოცხადებული ჰქონდა გაზეთში: უდგას საგანგებოდ ქუთაისის ქალაქის გამგეობის მიერ შემოწმებული თერეზის სასწორები (ДЕСЯТИЧ. ВѢСЫ), და ყველა სოფლელს უფასოდ უწონიან ბამბას, უფასოდვე ეძლევათ მათ კვიტანციები (ამაღლებაში) ბამბის წონის რაოდენობის აღნიშვნით და სხვა. ასე რომ დღემდე ამხანაგობის გამგეობა ყოველ გვარ ღონისძიებას ხმარობს, რომ სისრულეში მოიყვანოს ის, რაც გაზეთით და ცალკე განცხადებებით აუ-

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 1937

წუა ბიმბის მწარმოებელი. და თუ ჟურ-ჟურობით იგი სავსებით ვერ აღწევს თავის მიზანს, ამის დამბრკოლებელი მიზეზები სოფლელთა ეკონომიური ცხოვრება და არა ის, რაც ბინ წერდაძეს ჰგონია.

რა დახმარება უნდა გაუწიოს ამხანაგობამ მწარმოებლებს, როდესაც ჯერ კიდევ დასაწყისი არ აქვს ბიმბა და მოსავალი კი ჟურ ჩარჩ-ვაჭრობ აქვთ დამვალებული და მთ სოფლებმა ამხანაგობას უნდა გაუწიონ შემწეობა!? რაც შეეხება ბინ. მათე წერეძის შეს, რომ გსი თუ ამხანაგობას ის ბიმბა ექმნის, რაც ან. ჟიჟიროძის ამხანაგობისათვის, მეჭებიდან დაგროვებულ ხარიტა, რომ ამხანაგობას „კოოპერატიული“ ხასიათი არ აქვს ჯერ და არც ბინ ანუ შეხებოდიდ, და არც მის შეუძლებიათ. ბ. ანუ ჟიჟიროძის ამხანაგობა კერძო საზოგადოების ხასიათისათვის ამხანაგობა იყო, ქუთაისის ამხანაგობა კი სამეურნეო ამხანაგობაა, რომელიც ხელმძღვანელობს მთავრობის მიერ დამტკიცებულ წესდებით და ამის მიუმეტესად ქვეყნისათვის როგორც ამხანაგობის, ისე მეზობ-მოსწავლეთა სახლის სასარგებლოდ ირჯება.

**ი. ქუთაისელი**

## უცხოეთის წვრილი ამბები

**შეიდმოსნობაზედ** იწერი უნდა, როგორსაც იტალიელი ჟურნალი „ბურნაჩა“ მოგვითხრობს. ნეაპოლის ახლო ერთ პატარა სოფელში ქან-5 მადლენა 19 წლისფადა გათხოვილი და ამ ხნის განმავლობაში 62 შვილი უშობია. ამათგან 59 ვაჟია და სამეცა—ქალი. 19 წლისამ პირველად შობა სამი ვაჟი და ამ ერთიდან 11 წლის განმავლობაში სულ სამ-სამ შვილს ჰშობდა, ოთხჯელ—ოთხ-ოთხს და ერთხელაც 5 ვაჟი და ერთი ქალი უშობნია. ამ ბავშვების ბევრი მოკვდა. ეხლა ის 52 წლისაა და მისი ქმარი 57 წლისაა და ორივენი მთელი ერთი შეულია. ამ შემთხვევას სამედიცინო მეცნიერებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს და ამიტომ ექიმები ამ ოჯახს 1.800 ფრანკს აძლევენ, რომ მის წარმოებულ შთამომავლობის შესახებ სტატისტიკური ცნობები შეაგროვონ.

**ამერიკელების ასირგებულობა** ქვეყნის ტერფარებისათვის გამოჩნდება თურმე. ნიუ-იორკში ჩვეულებრივ ჰქონდათ ქალის ტერფი 1-ლ ოქტომბრამდე ამერიკელ მეტ-ძმა არავის არ შეუძლია ამისთანა ქალთა ტერფიში გამოცდა. რაცდენამე ამერიკელი მიიღე მოტერფიამენს ოქტომბრის 1-ლ რიცხვამდე ჰკითხოდა ქალთა გამოსვლა, მაგრამ ხალხი მოვარდნილა, ქალებს რიცხვმიდან აგდებდნენ და ჰატრონებისათვის და სულ ლეკ-სელდამა უქცევიან. ამისთანა ჩვეულებისთვის-კი სიმტკიცე ირიცხება მტკიცე ამერიკელებს.

**თამბაქოს გაუმჯობესება.** ამერიკაში თამბაქოს მწარმოებელთა ერთი სამეურნეო მოგვითხრობს, რომ თამბაქო კარგის ღირსებისა მიიღება ჯმის ნაცვლად თამბაქოს ფოთლებს აქვე დამაგრა ღრუებზე, ფოთლების ზვიდას გამოფარცხის ხოლმე, ქსისას სიმძიმე კაპლები და გასამართი თურმე. შარშან რომ შეჰქვდა კაცმა—დიდი კარგი მოსავალსაც ეს გადაღლიდნენ. ბოლოს ფოთლებიდან სულ იქედამ ლამის ფარის და ღუღუ იასამილა ამიანთა კანი კეთებულია, ქისას-კი ერთ დღეში დამოუკიდებლად დააძლიერებს 30 თითებამდე.

ამისთანა ფართულის ძალის ინახავს თურმე თამბაქოს ადვილად და ქარიასაცაც-კი. ფარფულს ქვეშ ფართე ურთიერთ ჰედ-ბლისა 5 გრადუსით უფრო თბილია ვიდრე ჰაერში. წვიმაც ერთანძნელ არ ავიჯიბა თამბაქოს—ამ ფედის ნაზ ფოთლებზე, ქისას ჰაერზე და ფოთლები ქარობინია ხელინოთ თამბაქოს.

ამ ნაირად მოყვანილი თამბაქო ბევრად უკეთესია ვიდრე ღია უფრო ძვირადაც ჰფასობს: გირკანში მანმოვიდით ამ ნაირად მოყვანილ თამბაქოს გირვანქა იყიდება ორ მანეთად, ხოლო ჩვეულებრივი ჯიშის თამბაქოს სულ-ორ შაურად. თამბაქოს ამ გვარად გამოყვანის ხელთ გარიგება ახლობელი ჩვენი მხარეშიც არის.

ჩვენში ჯიბის ფარფლებით გამოყვანის მინდორებს კი არა—ხშირად ვერავითარ თესვიანიდგან ჭ შეიძლებოდა გამოყვანებიდან. „ასახაბის ასე უფუ შეიდავს ...“—სამრთს ამბობს ჩვენი გლეხი.

# დეპეშა

(რუსეთის ტელეგრაფის სააგენტოსაგან)

**30 ოქტომბერი**

**ყაზანი.** ეპისკოპოსი ნიკანორი მოკვდა.

**რუმინი.** სადღესასწაულო სადილზედ, წარმოსთქვა: „მადლობელი ვარ, რომ იმპერატორი ... ჩვენ ჩამაღლისა და სადაურის ... სამეფო კარის ... გამომგზავნებით მმამა და ... სუბტექით დაიჯერებდა ... ქვეყნისა და სინოცის ... ბელგიის ... ქვეყანასა ... გამოცხადებით ქედს იხრის და მეფე შეუდგებოდა გულწრფელად 25 წლის ... უნდა ბელგიისათვის ... ჩვენი თავი-სტყვები მოკლეს ... ხელი ... ინგლისის ... ჩამოფრენა თავის გზიდან“. მეფემ მადლობა გადაუხადა ...

მეფეს, მხედრობას და ხალხს; სამაგიეროდ სადღეგრძელო მიირთვა მეფისა, პრინცესა-დედისა, პრინცებისა და პრინცესებისა. ორივე სადღეგრძელო აღტაცებით მიიღეს დამსწრეთ.

**კიევი.** ბირჟის მაკლერი დავიდოვსკი დაატუსაღეს. იმას აბრალებენ გრაფ შერემეტევის სახელობით სამას ათას მანეთის ყალბ ვექსილების შედგენაში მონაწილეობას. დაატუსაღეს აგრეთვე ცოლი ამ საქმეში დიდათ დამნაშავის მაკლერის სლონიმსკისა, რომელმაც მოასწრო გაქცევა და დამალვა.

**პეტერბურგი.** დიდი მთავრინა ელენე ვლადიმირის ასული და უავგუსტოესი მეუღლე მისი საბერძნეთის მეფის ძე ნიკოლოზი საბერძნეთს წავიდნენ.

**31 ოქტომბერი**

**ქრისტიანია.** დუნდერს-ლანდენს, ჩრდილოეთ ნორვეგიაში მიწა ჩამოინგრა; 7 მუშა ცოცხალი გამოიყვანეს; 2 მკვდარი იპოვეს. სულ რამდენი მუშა მოჰყვა მიწის ქვეშ,—არ იციან.

**კონსტანტინეპოლი.** იტალიის ელჩმა შეატყობინა ოსმალეთის მთავრობას, რომ იტალიის მთავრობა დაკმაყოფილდა ოსმალეთის ელჩის ცნობებით მეწამულ ზღვაში მომხდარ უპაზღობის შესახებათ.

**ნიუ იორკი.** სავაჭრო პალატის ახალ შენობის კურთხევის დროს რუზველტმა სთქვა: ამერიკა კუბასა და ჩინეთს სამართლიანად მოექცა და ამათ ყველას დაანახვა, რომ ჩვენს ქვეყანას ჰსურს სუსტმა სახელმწიფოებმაც შეიძლონ დამოუკიდებლად არსებობა. ამერიკას დიდ სახელმწიფოებთანაც ზავი და მეგობრობა ჰსურს. ჩვენი ქვეყანა ასე იმიტომ იქცევა, რომ უსამართლობა ნამდვილად სძულს და არა იმიტომ, რომ თავის დაცვის ძალა არა ჰქონდეს.

**რუანი.** გერცოგ ორლეანელის ციხე-დარბაზი იწვის. ჰშიშობენ, იქმნება მთლად დაიწვასო.

**ვაშინგტონი.** ამერიკის ელჩი ბოუენი იტყობინება, ვენესუელის მთავრობამ კარაკასში ადმინისტრაციის მოხელეები დანიშნაო. სამოქალაქო ომი ნამდვილად გათავებულა.

**სტოკჰოლმი.** გაზეთი „სვენსკა დაგბლადეტ“-ი ირწმუნება, ამ ზამთარს შვეციის ფლოტის სადგურს კარლსკრონისა და ჩრდილოეთ გერმანიის სანაპირო სადგურებს შუა 150 კილომეტრის მანძილზე უმავთულო ტელეგრაფი დაიწყებს მოქმედებასაო.

**მადრიდი.** მეფემ კაბინეტის შედგენა საგასტას მიანდო.

**ლონდონი.** ბოტასა და დელარეის კერძო საუბარი ჰქონდათ ჩემბერლენთან და როგორც ისმის, მთავრობას მადლობა გამოუცხადეს იმაზე, რომ კოლონიებს გულუხვი ფინანსიური შემწეობა აღმოუჩინა.

**პეკინი.** მთავრობამ შეატყობინა ელჩებს, რომ უცხოელების მიერ შემოტანილ სავაჭრო საქონლის ბაჟს $6^1/_2$ პროცენტი მოუმატებაო.

**პეტერბურგი.** „პრავიტელსტვენნი ვესტნიკ“-ი იუწყება, პრიამურის საგენერალ-გუბერნატოროში 12 ოქტომბრიდან 21-მდე ერთი კაცი გახდა ხოლერით ავადაო; ქალაქ ნიკოლს-უსურიისკში, კვანტუნის ოლქში, 16 ოქტომბრიდან 21-მდე ხოლერით ავადმყოფი არავინ შეუნიშნავთ; სეულსა და კორეაში 11 ოქტომბრიდან 17-მდე ხოლერისაკან არავინ გამხდარა ავად. ოდესაში 22 ოქტომბერს ერთი კაცი შავის ჭირით გახდა ავად და მოკვდა კიდეც, 23 ოქტომბრიდან 29-მდე კი არავინ გამ ხდარა ავად. მაისის დამდეგიდან 29 ოქტომბრამდე სულ 49 კაცი გახდა ავად, ამათგან 22 მორჩა, 18 მოკვდა და 8 საავადმყოფოში იმყოფება.—კუნძული ფორმოზა, გონკონგი და ინგლისის კოლონია დასავლეთ ავსტრალიაში შავი ჭირის მხრივ უშიშრად იცნეს.

**რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი**

# გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

**15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე**

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

**ა) ტფილისიდან მიდის:**

**ბათუმს:**—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

**ბაქოს:**—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

**ყარსს:**—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

**მიხაილოვოსა და ბორჯომს:**—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

**ბ) ბათუმიდან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ:**—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

**ზოტაპნამდე:** საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.)

**გ) ბაქოდან გამოდის:**

**ტფილის-ბათუმისაკენ:**—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

**დ) ქუთაისიდან გამოდის:**

**ბაქო ტფილისისაკენ:**—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

**ბათუმისაკენ:**—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

**ზოტაპნისაკენ:**—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

**ე) ფოთიდან გამოდის:**

**რიონ-ქუთაისამდე:**—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

**სამტრედია-ბათუმამდე:**—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

**სამტრედია-ბაქომდე:**—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).


# განცხადებანი

# ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

# სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოშია 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—40)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

# კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი | — | 10 |
| იოსებ დავითაშვილის ლექსები | — | 50 |
| ბნელი მოთხრობა—მელანიასი | — | 20 |
| ლ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო | 1 | — |
| იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე | 1 | 50 |
| ი. ჭავჭავაძის I ტომი | — | 70 |
| იგივე II და III ტომი თითო | — | 60 |
| იგივე IV ტ. ორ წიგნათ | — | 80 |
| სოფლის კუნწული—ლ. მაჩხაანელისა | — | 10 |
| სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა | — | 40 |
| აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო | — | 60 |
| რაფ. ერისთავის I ტომი | — | 60 |
| საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი | — | 20 |
| ამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა | 1 | 20 |
| აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა | — | 50 |
| სიბრძნე ბალავარისა | — | 30 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | — | 15 |
| დღეის დაუძნება პროფესი. გ. პეტრიაშვილის | 1 | 50 |
| რძე, მისივე | 1 | 50 |
| ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა | — | 80 |
| დასტურ-ლამა | — | 20 |
| ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა | — | 50 |
| სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა | — | 20 |
| ფიზიოლოგია—ფოსტერისა | — | 25 |

პროვინციელთ შეუძლიათ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიათ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ესევე წიგნები იყიდება ქუთაისში, ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

# ცინკოგრაფია

**წიგნიზ. გამოც. ქართველთა ამხანაგობისა**

განკის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

მიიღება ხელის-მოწერა ჟურნალ

# „მოგზაურ“-ზე

1903 წელს ჟურნალი „მოგზაური“ გამოვა ახალის გავრცელებულის პროგრამით. მასში დაიბეჭდება პედაგოგიური, სამეურნეო, სამეცნიერო, საისტორიო და სხვა გვარი წერილები. ყოველ საუკეთესო წერილს რედაქცია ამავ დროს ცალკე იაფ-ფასიან წიგნადაც გამოსცემს ხალხში მრავლად გასავრცელებლად.

ეს გარემოება, იმედია, აამოძრავებს მთლად ჩვენს სახალხო მწერლებს და ბევრს ისეთებსაც აალებინებს კალამს ხელში, რომელთაც აქამდის სრულიად დაკარგული ჰქონდათ ხალისი ხალხისათვის წერისა, რადგანაც გამომცემელი არ ეშოვებოდათ. იმედია, ამ გვარათვე არც მკითხველი საზოგადოება მოეკიდება გულ-გრილად ჩვენს ასეთს განზრახვას და ხელს მოგვიმართავს როგორც ხელის-მოწერით, ისე წიგნების გავრცელებით ხალხში (ერთმა პატივცემულმა გვამმა რა ნახა ჩვენი იაფ-ფასიანი წიგნები, მაშინვე იყიდა სამი მანეთისა სოფელში მუქთად დასარიგებლად).

მოხსენებულის თანახმად „მოგზაურის“ რედაქციამ ამ ორს თვეში უკვე გამოსცა ხუთმეტზე მეტი შაურიანი წიგნი, ვითარცა: „წერილი სოფლელ მუშას“, „დიფტერიტი“, „დედა-აზრი მეცნიერებისა“, „თეოლოგია-ფილოსოფია და მეცნიერება“, „რა არის გონებითი გახსნა-განვითარება“, „პურის მოყვანა ჩინურ-იაპონიურის წესით“, „რისგან იხოცებიან უდროვოდ ჩვენი ბავშვები“, „დანაშაულობა-დამნაშავენი“, „რაშია ბედნიერება“, „სარკე გურულთა ცხოვრებისა“, „აბრასკილი“, „მეურნეობა და პირადი მუშაობა-მოქმედება“, „როგორ არჩენენ ადამიანებს დანით“, „სულით ავათმყოფი მოსწავლენი“ და სხვ. და სხვა. პირველი და მეორე ნომერი „მოგზაურისა“ გამოვა იანვრის პირველს რიცხვებში.

**ფასი ჟურნალისა** იგივეა, ესე იგი **5 მანეთი** გაგზავნით, მასწავლებელთათვის და ხელ-მოკლე დაწესებულებათათვის—**4 მანეთი.**

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს ტფილისს ამ ადრესით: Въ Тифлисъ, Редакція «Могзаури» (Межев. № 72).

(შ. 6—2) რედაქტორ-გამომცემელი **ივანე როსტომაშვილი**

საათფთიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობის

# დეპო

(მუხრანიანთ ქუჩიდან) და

# მაღაზია

(სასახლის ქუჩიდან)

ტელეფონი № 741.

გადავიდა ერთ შენობაში „სევერნი ნომრების“ ქვეშ, კავკასიის მუზეუმის პირდაპირ (გოლოვინის პროსპექტის ახლო), ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Товарищество фармацевтовъ, ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ, Фармацевтика. (0—29)

# ელეოპატი შვედური ბალზამი

**პროვიზორის კინუნენისა.**

ეს საშუალება სასარგებლოა **თმის გასამაგრებლად და ქერტლის მოსასპობად.** დიდ-ძალი მოთხოვნა **ელეოპატისა** ამ 25 წლის (1877 წლიდან) განმავლობაში თავდებია ნდობისა. **იყიდება ყველგან.**

ადრესი წერილებისათვის: С.-Петербургъ, Разъѣзжая, 13,—въ главный складъ ЭЛЕОПАТА, провизора Кинунена. (5—3)